პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 154 (10 078)
10 აგვისტო, ხუთშაბათი
1989 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

წელს 50 წლის სრულდება მას შემდეგ, რაც კალენდარზე გაჩნდა ყველასათვის ერთნაირად საინტერესო სადღესასწაულო თარიღი — ფიზკულტურელის დღე



შაბათს, 12 აგვისტოს ამ დღის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე, პარკებში, საცხოვრებელ ადგილებში ჩატარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები, მოეწყობა ტურისტული ლაშქრობები. ამ დღისთვის თავიანთი პროგრამა შეიმუშავეს სპორტსაზოგადოება „დინამომ“, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებამ, თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტებმა, ცალკეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა და სპორტულმა კლუბებმა.

გუშინ დავუკავშირდით თბილისის კინო-ვიდეო გაერთიანების უფროსს ზაურ გამსახურდიას. მან გვაცნობა, რომ შაბათს, 12 აგვისტოს ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით კინოთეატრებში „ქართულ ფილმში“ და „ყაზბეგში“ უჩვენებენ ყველაზე საინტერესო ქართულ სპორტულ ფილმებს, ქალაქის სხვა კინოთეატრებში კი მაყურებლები იხილავენ კინო-ქრონიკებს და საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების ამსახველ სხვა კინოფირებს.

გიწვევთ, გიწვევთ, გიწვევთ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

დამნაშავეობასთან ბრძოლის შესაძლებლობის გაძლიერების შესახებ

ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა დამნაშავეობა, ერძოდ ორგანიზებული დამნაშავეობა. ეს მოსახლეობის სამართლიან შეშფოთებას იწვევს და გარდაქმნის მიმდინარეობას ართულებს.

დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების ყველაზე მტკიცე ღონისძიებების მიღების მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას სსრ კავშირში, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრებში დამნაშავეობასთან ბრძოლის დროებითი კომიტეტები, რომლებშიც შევლენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების, სასამართლოებისა და იუსტიციის ორგანოების ხელმძღვანელები, აგრეთვე შესაბამის ტერიტორიაზე არჩეული ან მომუშავე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები. დროებითი კომიტეტების მუშაობის ხელმძღვანელობა დაეკისროს შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში — რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეებს, მხარეებში, ოლქებსა და ქალაქებში — სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს.

დამნაშავეობასთან ბრძოლის დროებითი კომიტეტების საქმიანობას საფუძვლად უნდა დაედოს სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნების, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონების უმკაცრესი დაცვა, დაეყრდნოს ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის მხარდაჭერას.

ყველა სახელმწიფო ორგანო, საწარმო და დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველნაირად დაეხმარონ დროებითს კომიტეტებს მათს მუშაობაში.

2. განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც რეალურ შესაძლებლობას შეუქმნის შინაგან საქმეთა ორგანოების და, უწინარეს ყოვლისა, მილიციის თანამშრომლებს მტკიცედ აღკვეთონ დამნაშავე ელემენტების მოქმედება. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ერთი თვის ვადაში სსრ კავშირის გენერალურ პროკურორთან შეთანხმებით შეიმუშაონ კანონმდებლობის შესაბამისად მილიციის თანამშრომლებისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მიერ სისხლის სამართლის ელემენტებთან ბრძოლის კრიზისულ პირობებში საგანგებო ღონისძიებების გამოყენების წესი, მათ შორის იხმარონ იარაღი, როცა წარმოიშობა განსაკუთრებით საშიში სიტუაცია.

საჭიროდ იქნეს მიჩნეული ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემუშავების მსვლელობაში უახლოეს ხანს გათვალისწინონ მილიციის მუშაკებისა და დამნაშავეობასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში მონაწილე სხვა პირთა სიცოცხლისა და ღირსების ხელყოფისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი.

3. უზრუნველყოფილ იქნეს მილიცია ტექნიკური საშუალებებით, რათა დაუყოვნებლივ იმოქმედონ მილიციის მოძრავმა პატრულებმა და სისხლის სამართლის სამეგბროს თანამშრომლებმა. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაუყოვნებლივ გადაჭრას ავტომანქანებით, პორტატიული რაციებით, ვერტმფრინავებით, სხვა ტექნიკითა და მოწყობილობით მილიციის აღჭურვის საკითხი.

გაიზარდოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების რიცხვი დამნაშავე ელემენტების მასობრივი ურჩობის შემთხვევებში საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

4. დაევალოთ საძიებო ორგანოებსა და სასამართლოებს ეხელმძღვანელონ ხელად დაიცვან კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები და მაქსიმალური სიმკაცრით განიხილონ უაჩაღური თავდასხმები, ძარცვის, დატაცებისა და ქურდობის, გაუპატიურების, ნარკოტიკებით ვაჭრობის, სპეკულაციის, ბრაკონიერობისა და სხვა დანაშაულობათა შემთხვევები. არ დაუშვან არავითარი შემწყნარებლობა საშიში დამნაშავეების, ორგანიზებული დამნაშავე ჯგუფების ხელმძღვანელებისა და აქტიური მონაწილეების, რეციდივისტების მიმართ.

5. აღნიშნულ ღონისძიებათა სისტემა დაწესდეს ორი წლის პერიოდისათვის, ამასთან საკალდებულოა შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელთა ანგარიშები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების წინაშე მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 4 აგვისტო.

დეპეშა ნოემერში

სამარყანდი. ქუთაისელ მთამსვლელთა ჯგუფმა ფანის მთებში მე-6 კატეგორიის სირთულის გზით (ბალიზინის მარშრუტით) დალაშქრა მწვერვალი „ზამოკი“.

მ. ნემსიწვერიძე, ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ოდენების ჩინეთში

საგოლთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო კატეგორიის მსჯავრის წოდება მიანიჭა:

ფრენბურთში — იგორ ნესუაშვილს (თბილისი, სახალხო განათლება)

კლასიკურ ჭიდაობაში — შალვა გაფრინდაშვილს (თბილისი, პროფკავშირები).

მეკლდეურობაში — ლადო გურჩიანს (თბილისი, პროფკავშირები)

წყალში ხტომაში — კონსტანტინე იადრიშნიკოვს (თბილისი, სახალხო განათლება)

კალათბურთში — ალექსანდრე როსტომაშვილს (თბილისი, პროფკავშირები)

წყალხამოტორო სპორტში — ვლადიმერ შახნაზაროვს (თბილისი, დოსაავი).

„ფაზისი“—პირველი გამოიცდა

ლონდონი. საბჭოთა იალქნიანმა ნავმა „ფაზისი-პეპსიმ“, რომელიც მსოფლიოს გარშემო ტრადიციული რბოლის — „უიტბრედისთვის“ ემზადება, საუტჰემპტონის მახლობლად მდინარე ჰემბლზე უკვე მოსინჯა „წმინდა წყალი“. თავდაპირველად ნავზე აფრები არ აღიმართა და იგი ბუქსირით უკან მიიყვანეს პორტში. საღამოსათვის ეს მოულოდნელი შეფერხება გამოსწორდა და ნავის წყალში ჩაშვების საზეიმო ცერემონიალი და პირველი საწვრთნელი რეისი მეორე დღისთვის გადადგა.

კვირას, „გამოსაცდელ პოლიგონზე“ უამრავმა ცნობისმოყვარემ მოიყარა თავი. ინგლისელი მოყვარულები და სპეციალისტები განცვიფრებული იყვნენ ნავის კონსტრუქციით, რომელიც ფოთელმა ოსტატებმა შექმნეს. „ფაზისი-პეპსი“ პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს კორპუსის სიგრძით და არც თუ ისე მაღალი ბორტებით. ერთმა ინგლისელმა სპეციალისტმა იხუმრა კიდეც: „თუ ისინი არ ტყუიან, მაშინ ჩვენ ყველანი ვტყუით“.

ასეა თუ ისე, პირველი გასვლა „წმინდა წყალზე“ იღბლიანი გამოდგა, რამაც დიდად გაახარა არა მარტო ხომალდის შემქმნელები, არამედ მისი მთავარი სპონსორიც — ამერიკული ფირმა „პეპსი-კოლას“ წარმომადგენლები. ნავი გამოდგა საკმაოდ „დამჯერი“, მოქნილი, მობილური და სამართავად ადვილი. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „ინდეპენდიენტმა“ აღნიშნა: „გუშინ ჩვენ დავესწარით, ახალ, ამაღელვებელ მოვლენას საიალქნო სპორტის ისტორიაში“.

საქართველო მსოფლიო სპორტულ სამყაროში

წლები, მოვლენები, ფაქტები

1941 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი. თბილისის „დინამოსა“ და სტალინოს „სტანანოვეცის“ შეხვედრის მომენტი. მასალა ქართული ფეხბურთის ისტორიის შესახებ, იხ. წე-8 გვ.

კრივი — ჭაბუკების სერიოზული გატაცება

დონეცკის კვალდაკვალ, სადაც გაიმართა IV ახალგაზრდული საკავშირო სპორტული თამაშების მონაწილე მოკრივეთა ტურნირი, ჭაბუკებს ივანო-ფრანკოვსკის რინგმა უხმო. იქ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაში ჩაებნენ 15-16 წლის მოკრივეები. ეს ასპარეზობა საკმაოდ წარმომადგენლობითი გახლდათ, სულ 244 ჭაბუკი იბრძოდა გამარჯვებულის სახელისათვის. ასპარეზობაზე თავი ისახელეს საქართველოს მოკრივეებმა. 5 ოქროსა და 2 ბრინჯაოს მედალი — ასეთი „ნადავლით" დაბრუნდნენ ისინი შეჯიბრებიდან. ამასთან, მათ ანგარიშზეა არაოფიციალური გუნდური პირველობაც.

ჩემპიონები გახდნენ: ფოთელი კობა გოგოლაძე (მწვრთნელი ნიკა ქლანტიაშვილი), მესტიელი რამაზ ფალიანი (ჰენრი მუშკუდიანი), ფოთელი პაატა გვასალია (სოზარ კულუა), ცხინვალელი ვადიმ ქოქოევი (ჯამბულათ ქოქოევი), ფოთელი ზურაბ სარსანია (ზურაბ ანთია).

ბრინჯაოს მედლების მფლობელებია: ხობელი კობა ჯაბისონია და ტყიბულელი სპარტაკ პირველაშვილი. შეჯიბრისთვის გუნდი მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ტარიელ ვერულაშვილმა და ვიტალი საპელკომ.

დავით ქავთარაძე,
გუნდის უფროსი მწვრთნელი.

ხურათზე: მარცხნიდან კობა გოგოლაძე, ზურაბ სარსანია, რამაზ ფალიანი, ვადიმ ქოქოევი და პაატა გვასალია.



მუდამ ერთგული ბიბლიოთეკა

ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა კარგად იცნობდა დავით ეფრემაშვილს, ჯერ საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრს, მერეკი კი მის ერთ-ერთ მწვრთნელს. დავითი 18 წლის წინათ წავიდა საცხოვრებლად ისრაელში, მაგრამ საქართველოზე, ქართველ ხალხზე და ქართულ სპორტზე ფიქრი მუდამ თან ხდევს. დავითი ამ დღეებში მეუღლესთან ერთად სტუმრად ჩამოვიდა საქართველოში.



● ბატონო დავით, საქართველოში დიდი ხანია არ ყოფილხართ, მაგრა უცხოეთში თითქმის ყველგან ჩადიოდით, სადაც კი ტარდებოდა შეჯიბრებები ქართველი სპორტსმენების მონაწილეობით. ახე რომ, კონტაქტები არ გაგიწყვეტიათ. როგორც ვიცით, მუდამ ოცნებობდით, კვლავ სწვეოდით საქართველოს.

— ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ამიხდა. მე და ჩემი მეუღლე თამარ ჯინჯიხაშვილი ისევ ჩამოვედით ჩვენს მეორე სამშობლოში— საქართველოში. აუწერელია ეს სიხარული. თამარმა თან ჩამოიტანა ლექსების დასტა, რომლებშიც იგი საქართველოს და ქართველ ხალხს, მშობლიურ თბილისს უმღერის.

● ამ სტუმრობისას საკმაო დრო გქონდათ, რომ პარალელი გაგევლოთ ჩვენი რესპუბლიკის არცთუ შორეულ წარსულსა და დღევანდელობას შორის. თქვენი აზრით, რა შეიცვალა თვრამეტი წლის მანძილზე ჩვენს ფიზკულტურასა და სპორტში?

— ფიზკულტურასა და მასობრივ-გამაჯანსაღებელ სპორტში დიდი ცვლილებები არ შეიმჩნევა, მაშინ, როცა თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ, მსოფლიოს კულტურულ ქვეყნებში ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

დიდ სპორტში ძალიან წინ წავიდა საქართველო. მე ეს, ცხადია, აქ ჩამოსვლამდეც ვიცოდი, მაგრამ ახლა პირადად გავეცანი ყველაფერს, რაც ამ წარმატებებს განაპირობებს. ჩემმა ძველმა მეგობრებმა და კოლეგებმა, თანაკურსელებმა ფიზკულტურის ინსტიტუტიდან. რომლებიც დღესაც ქართული სპორტის სამსახურში დგანან, ყველაფერი დაწვრილებით მიამბეს. ორგანიზაციული მუშაობის სწორად წარმართვას, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დიდ ყურადღებას და დახმარებას, ცხადია, არ შეიძლებოდა ნაყოფი არ გამოეღო. აი, მე აქ ორი კვირაა ვარ და რამდენი სასიხარულო შევიტყვე—თუნდაც „ლელოს" ფურცლებიდან. მარტო ამ ბოლო ორ კვირაში საქართველოს შეემატა საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს რამდენიმე ჩემპიონი. ასეთი წარმატებით ხომ ნებისმიერი დიდი სპორტული სახელმწიფო იამაყებდა.

ბარემ აქვე ვიტყვი: ბევრი შესანიშნავი სპორტული ბაზა აგიშენებიათ თბილისში, დედაქალაქი ძალიან დამშვენებულა, აი, ქუთაისში კი თითქმის უველაფერი ძველებურად გამოგიყურება.

● ისრაელიდან რედაქციაში გვიგზავნიან ყურნალ „დროშას", რომელიც თქვენთან ქართულ ენაზე გამოდის. ამ ყურნალის მეშვეობით ვიგებთ იმასაც, თუ რა ერთგულად ეწევით ქართული კულტურის პროპაგანდას. „დროშის" ფურცლებზე ქართულ სპორტსაც დიდი ადგილი ეთმობა. მადლობის მეტი რა გვეთქმის...

— მე დავამატებდი, რომ ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა, ქართული ენის მეშვეობით შეეუნარჩუნო ჩვენს მომავალ თაობებს საქართველოს და ქართველი ერის, მისი მდიდარი კულტურის სიყვარული. მშობლიურ ივრითთან ერთად ჩვენმა ბავშვებმა და შემდგომმა თაობებმაც ქართული აუცილებლად უნდა ისწავლონ. სამისოდ უკვე გაიხსნა უამრავი წრე შექმნილია ქართული სპორტული გუნდებიც, ასევე ქართული სახელწოდებით.

● პირადად თქვენ რას საქმიანობთ?

— საავიაციო ტექნიკუმში ვარ ფიზიკოზრდის მასწავლებლად, აგრეთვე, ვმუშაობ მწვრთნელად „მაკაბის" ერთ-ერთ კლუბში. ჩემი აღსაზრდელებიდან განსაკუთრებულ იმედებს ვამყარებ 400 მეტრზე მორბენალ ვაჟებზე.

● თქვენი შვილები თუ მიხდევენ სპორტს?

— მოზარდი სპორტში აუცილებლად უნდა მეცადინეობდეს, ეს საეჭვოდებულია. ბიჭი, რომელიც თოთხმეტი წლისაა, სერიოზულად ფიქრობს დიდ კალათბურთზე.

● საქართველოდან ამოსულებიდან (ახე უწოდებენ თავიანთ თავს ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელები) კიდევ ვინ მუშაობს სპორტში?

— მიხეილ ელიგულაშვილი ნიჩბოსნებს ამზადებს. მისი ერთი მოწაფე ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობდა. ფარიკაობაში მუშაობს მიხეილ ჩიჩანაშვილი. სხვებიც არიან, უველა მათგანმა სახელი და ავტორიტეტი მოიხვეჭა.

● როგორ უყურებთ სპორტული კონტაქტების გაღრმავებას საქართველოსა და ისრაელს შორის?

— ოპტიმისტურად. ისრაელში მოუთმენლად ელიან ქართველ სპორტსმენებს და პოპულარულ ქართულ გუნდებს. მაგრამ, გარდა დიდი სპორტისა, მასობრივ სპორტში ურთიერთობაზეც უნდა ვიფიქროთ. შესანიშნავი წინადადება წამოაყენა ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა დავიდ ფრუიძემ. ამ ქალაქში სურთ შექმნან „მაკაბის" კლუბი. თუ ეს განხორციელდა, ჩათვალეთ, რომ ორმხრივ სასარგებლო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. რაც მოავალრია, არასოდეს შეწყდება ურთიერთობა ქართულ მიწაზე და შეგობრობაზე შეყვარებულ ორ ერს შორის.

● თუ ნებას მოგვცემთ, ბატონო დავასრულებთ თქვენი მეუღლის, ქალბატონი თამარის ლექსად თქმული სიტყვებით, რომლებშიც ალბათ მთელი ქართველი ებრაელობის გულისთქმაა გადმოცემული:

„დღემდე მე სიზმრებს ჯერაც
ისევ ქართულად ვხედავ,
ჩემს უნებლიეთ ქართულად ვამბობ
— „ვაიმე, დედა!"
მჯერა, გამიგებ და მაპატიებ,
ჩემო ივრითო,
შენზე სიზმრებსაც ჯერაც ისევ
ქართულად ვხედავ".

როგორც იქნა...

რატომღაც ამ საკითხს დღემდე ტაბუ ჰქონდა დადებული და ოცნებაც კი არ შეიძლებოდა, რომ ტყავის ხელთათმანის საბჭოთა ოსტატებს თავიანთი ძალა გამოეცადათ პროფესიულ რინგზე. მხოლოდ ახლახან შევიტყვეთ ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის საშუალებით, რომ თურმე ომამდელ და ომისშემდგომი დროის ლეგენდარულ მძიმეწონოსან მოკრივეს ნიკოლოზ კოროლიოვს თხოვნით მიუმართავს სტალინისთვის, უფლება მომეცით, სარბიელზე შევხვდე მსოფლიო ჩემპიონ ჯო ლუისსო. მაგრამ საბჭოთა მოკრივეს ამის ნება არ მისცეს. თუმცა კოროლიოვი ირწმუნებოდა, საშშობლოს არ შევარცხვენო...

მაგრამ ახლა სხვა დროა, საბჭოთა სპორტსმენები სულ უფრო გაბედულად აღებენ „პროფესიული სამყაროს" კარს და არც თავს ირცხვენენ.

დადგა მოკრივეთა ჟამიც. ამ გაზაფხულზე „სოვინტერსპორტმა" ითავა, რომ რამდენიმე საბჭოთა ჩემპიონმა გამოსცადოს ძალა ახალ ამბლუაში ამერიკის რინგებზე. შეიქმნა მოკრივეთა ასოციაცია, რომლის წევრები გამოვიდნენ სსრ კავშირის კრივის ფედერაციიდან. ახლა საინტერესო მოვლენები გველის — მოსკოვის „დინამოს" სპორტის სასახლე სულ მალე უმასპინძლებს პროფესიონალთა ექვს წყვილს, რომელთაგან სამი საბჭოთა მოკრივე იქნება — ისინი ორთაბრძოლებს გამართავენ იბფ-ის ეგიდით.

— საკავშირო ასოციაციიდან,— განაცხადა მოკრივეთა ასოციაციის პრეზიდენტმა, რსფსრ-ის დამსახურებულმა მწვრთნელმა ლ. ლიპინსკიმ, — გამოვლენ მსოფლიო ჩემპიონატების ოქროსა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი იური ალექსანდროვი, ევროპის 1987 წლის თასის მფლობელი და სსრ კავშირის ჩემპიონატში ორგზის გამარჯვებული ვიქტორ ეგოროვი. მესამე მძიმეწონოსანი მოკრივე, რომელიც პროფესიულ რინგზე ცდის ძალას, პრეზიდენტს არ დაუსახელებია — ეს ჯერ პატარა საიდუმლოებაა. დანარჩენ წყვილებში გამოვლენ ფინეთის ჩემპიონი ანტი იუნტუმაა და ფრანგი ფრანჩენსკო გარსია, იტალიელი მასიმო მილიანო, რომელსაც „პატარა ტაისონს" ეძახიან, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, ინგლისელი ბობი უელსი. აგრეთვე ამერიკელი კელვინ გროუვი და ენტონი ინგლიში. მათი 12-რაუნდიანი ბრძოლა დაასახელებს მსოფლიო პირველობის ფინალისტს მსუბუქ წონაში.

ეს საინტერესო ასპარეზობა 20 აგვისტოს გაიმართება.

ვალამდე...

პაპა. ლვოველმა დიდოსტატმა ალექსანდრე ბელიავსკიმ ვადამდე (ერთი ტურით ადრე) გაიმარჯვა ამსტერდამში გამართულ ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში. ამ დროისათვის ბელიავსკის 6,5 ქულა აქვს 9 შესაძლებლიდან. მას ქულანახევრით ჩამორჩებიან უახლოესი მდევრები ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) და ჯოანათან სპილმენი (ინგლისი).

მთავრდება პარალელური, ე. წ. თანამდევი ტურნირიც. ერთადერთი საგზურისთვის, რომლის მფლობელს უფლება ეძლევა გაისად მთავარ ტურნირში ითამაშოს, ერთმანეთს შეხვდებიან პ. ვან დერ სტერენი (ჰოლანდია) — ბორის გელფანდი (სსრკ), ლევ პსახისი (სსრკ) — იუდიტ პოლგარი (უნგრეთი), ზურაბ აზმაიფარაშვილი (სსრკ) — ბენჯამინ ფაინგოლდი (აშშ). ამ „ქვეტურნირში", რომელიც დღეს დამთავრდება, 8 ტურის მერე ლიდერობენ გელფანდი და პოლგარი — 6-6 ქულა. აზმაიფარაშვილმა და ფსახისმა მოაგროვეს — 5,5-5,5.

SOS

რაღას გვაძლევენ, თუკი გვართმევენ...

ხულოს რაიონის ხოფელ ხიხაძირის ახალგაზრდები გაწუხებთ, გვინდა ჩვენი გასაჭირი გაგიზიაროთ და დაგვეხმაროთ.

ხიხაძირის ირგვლივ შვიდი სოფელია, სადაც რვა ათასამდე კაცი ცხოვრობს. ჩვენი სოფელი რაიონის ცენტრიდან 40 კილომეტრითაა დაშორებული და, ბუნებრივია, იქ ფეხბურთის ხათამაშოდ ვერ ვიკლეთ. იტყვით, 40 კილომეტრის დაშორებით რატომ უნდა იარეთ, თქვენს სოფელში ითამაშეთო, მაგრამ სად ვითამაშოთ?

1970 წელს ჩვენი სოფლიდან გადახული ერთ-ერთი უწყების სპორტული მოედანი დროებით ხარგებლობისთვის ჩვენი სოფლის კოლმეურნეობას გადაეცა. კოლმეურნეობამ არც აცია, არც აცხელა და მოედანი გადახნა. მაშინ ამის თაობაზე ჩვენი სოფლის ახალგაზრდებმა თქვენი გაზეთისა და „კომუნისტის" რედაქციებში ხაგანგაშო ცნობები აფრინეს... მოედანი ჩვენ გადმოგვცეს.

შარშან გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ" ამ ხარბიელის შესახებ წერილი გამოაქვეყნა. წერდა, რომ მოედნის გაფართოება და კეთილმოწყობა შეიძლებოდა. გაზეთის პოზიციას პარტიის ზულოს რაიკომი დაეთანხმა, შერე ძელები და ხარბიელის შემოსაკავებელი მახალაც მოგვატანეს, მაგრამ რისთვის? მოედანი კვლავ გადახნეს!

ამასაც მოგახსენებთ, რომ წინათ ჩვენთან ხშირად იმართებოდა ფეხბურთელთა შეჯიბრებები, რომელშიც შვიდივე სოფლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სახოფლო საბჭოს გუნდი კი რაიონულ პირველობებშიც გამოდიოდა. შარშან რაიონის ნაკრებში შვიდი პერსპექტიული ფეხბურთელი მიიწვიეს.

ერთი სიტყვით, ახლა ფეხბურთის ხათამაშო ხარბიელი აღარ გვაქვს, იქნებ თქვენი დახმარებით რაიმე გვეშველოს.

მ. ბაბაიძე, ა. გოგრაძე, რ. ბაბოძე, ხ. მიქელაძე, სულ 36 ხელმოწერა

რედაქციისაგან: როგორც ნახეთ, ხიხაძირელებმა არაერთხელ აიფორიაქეს სხვადასხვა რედაქციები, მათი წარმომადგენლები არაერთხელ ავიდნენ ამ სოფელში და იქაური ახალგაზრდების გულისტკივილი გაგიზიარეს. ნუთუ პრობლემების საბოლოოდ გადასაჭრელად ერთი პუბლიკაცია არ კმაროდა?

ვიმედოვნებთ, რომ ხიხაძირელთა გასაჭირზე „კიდევ ერთხელ" აღარ მოგვიხდება საუბარი.



ბიჭებს პირისპირ

ბაგმა ტურნირებში ქალების მონაწილეობა იშვიათობას აღარ წარმოადგენს. „მშვენიერი სასეირნო" სულ უფრო და უფრო დიდ წინააღმდეგობას უწევენ „ძლიერთ". ასე მოხდა ამ დღეებში ლაგოდეხში დამთავრებულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაშიც 100-უჯრედიან შაშში. ჭაბუკთა შეჯიბრებაში III ადგილი დაიკავა სამტრედიელმა ქვეთინო მეფარიშვილმა (მწვრთნელი — არჩილ გრიგოლია), ხოლო თბილისელი ნონა ბეჟაშვილი მეშვიდე იყო.

I ადგილისთვის კი მძაფრი ბრძოლა გაიმართა თბილისელ ოსტატობის კანდიდატებს ზვიად ფხიკლიშვილსა (მწვრთნელი — შოთა კოსიევი) და მამუკა ქავზაბაძეს (მწვრთნელი— თენგიზ რეხვიაშვილი) შორის. 13 შესაძლებლიდან 12,5 ქულა მოაგროვა და ჩემპიონის სახელი მოიპოვა ფხიკლიშვილმა. ქავზაბაძე ნახევარი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს.

სამწუხაროდ, მათ გარდა ვერავინ გამოიჩინა თავი, სხვები თამაშის კლასით აშკარად ჩამორჩებოდნენ ლაურეატებს.

გოგონათა ტურნირში (15-15 შესაძლებლიდან 14-14 ქულა მოაგროვეს თბილისელმა ოსტატობის კანდიდატებმა მადონა შალამბერიძემ (მწვრთნელი — თენგიზ რეხვიაშვილი) და დიანა ავადიამ (მწვრთნელი — არტურ მოიხანი). გამარჯვებულის გამოსაკვლევად მათ შორის დაინიშნა ორი 10-წუთიანი მიკრო-მატჩი. პირველი შეხვედრა ყაბმით დამთავრდა, მეორეში კი შალამბერიძემ იმარჯვა და მოიპოვა კიდევ ჩემპიონის წოდება. 13 ქულით III ადგილი თბილისელ ნონა თედიაშვილს (მწვრთნელი — თამარ ხორბალაძე) ხვდა.

როლანდ ქერდეიოშვილი,
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო მსოფლიო სპორტულ სამყაროში

წლები, მოვლენები, ფაქტები

ფეხბურთს ბევრი უსახელო წინამორბედი ჰყავს. მისი მსგავსი თამაში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო ცნობილი იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში, აზიის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ფეხბურთი ამ რეგიონში შეექმნა და მისი სამშობლო სწორედ აქ უნდა ეძებოთ.

ამ თამაშს იცნობდნენ ძველ საბერძნეთშიც, ოღონდ, მას ხან „პილას“ უწოდებდნენ, ხან „ფოლისს“, „პაკანიკას“ ან კიდევ „გარპასტონს“, ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, რით ტენიდნენ მრგვალი ფორმის ბურთს — ნაჭრით, ჰაერით, ბუმბულით თუ ქვიშით.

ფეხბურთს რომაელ ლეგიონერებიც თამაშობდნენ ზღვისპირა ქალაქებში და, პირველ ყოვლისა, ფოთში.

გაზეთი „ეგერია“ 1890 წლის ერთ-ერთ ნომერში (75) წერდა: „ბათუმი. აღდგომის კვირაში სასიამოვნო დარები იყო. კვირაცხოვლობის დღეს აქაური ქართველობა შეიკრიბა ,ახაბერის მინდორზე და დაიწყო ბურთაობა. მაყურებლებიც ბევრნი იყვნენ მოსულნი და დიდადაც გაჰკვირდნენ და ისიამოვნეს ამ თამაშის ცქერით, იმათ, ვისაც პირველად ენახათ ბურთის თამაშობა. მაგრამ ეს სიამოვნება იაფად არ დაგვიჯდა, და ვიდრე ხალხი ისიამოვნებდა, ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარეს მოთამაშეებმა“...

წერილში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ წაართვეს ბოქაულმა და აყაზებმა მოთამაშეებს ბურთი და



ბორის პაიჭაძე ეწვდება მარჯვნიდან ჩამოწოდებული ბურთის მისაღებად.

რებიც თამაშობდნენ და სვარაუდობა, რომ სწორედ მით შეიტანეს იგი ბრიტანეთის კუნძულებზე. ინგლისში ფეხბურთმა საფეხბურთოდ მოიკიდა ფეხი, რაც სხვათა შორის, ისტორიული წყაროებიდანაც ჩანს. მაგრამ, როგორც ირკვევა, შეა საუკუნეებში ამ თამაშს სხვა მნიშვნელობა მიეცა.

„მეფე ლირში“ მოხუცი მონარქის ერთგული ვასალი კენტი ერთ უმადურ პიროვნებას დამცირების მიზნით მიმართავს: „სამაგალო, ფეხბურთის მოთამაშევ!“ გამოდის, რომ შექსპირის ეპოქაში ფეხბურთს ანრობრივი ტრანსფორმაცია განუცდია და საძრახი ტერმინი გამხდარა.

უფრო მეტიც, ინგლისის მეფე ედუარდ მეორემ „დიდი ბურთის გორაობა“ დანაშაულად გამოაცხადა. ამ დანაშაულისთვის მობურთაველებს ხშირად ციხეშიც კი სვამდნენ. იმავე ედუარდ მეორის განცხადებით მშვიდობისნობის, როგორც სანახაობისა და ფიზიკური ვარჯიშის ერთ-ერთი საშუალების დაკნინების მიზეზი სწორედ ფეხბურთით უზომო გატაცება იყო. ფეხბურთის თამაშის შემდეგ ხალხი სტოვებდა სარბიელს „დამტვრეული ფეხებით, დახანებული ხერხემლითა და ამოკაწრული თვალებით“ — ამბობს ერთი თანადროინდელი ისტორიკოსი და უამრავი ფაქტიც მოჰყავს.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სულ სხვა ფეხბურთი იყო, სხვა თამაში და სხვა გატაცება. თანამედროვე ფეხბურთი, რომელსაც მსოფლიოს ყველა კონტინენტზე უამრავი ქომაგი და მიმდევარი ჰყავს, ინგლისში წარმოიშვა, ოღონდ გაცილებით უფრო გვიან და სხვა პირობებში. სხვათა შორის, ამ ფეხბურთის დამადგენს თარიღი უტყუარად არის დადგენილი: 1863 წლის 26 ოქტომბერი. სწორედ ამ დღეს ლონდონის ერთ-ერთ სამეკიტნოში პირველად წარმოადგინეს ენთუზიასტებმა თამაშის სრული აღწერა და წესები.

ფეხბურთი საქართველოშიც ინგლისიდან შემოვიდა მრავალს მომსწრეს და მნახველი შეზღვაურების შეშფოთით (სწორედ შეზღვაურებმა გაიცნეს ეს თამაში ევროპის ქვეყნებსაც), რაც იმის ნიშანავს, რომ ფეხბურთის საქართველოში პირველწყაროთი იცნობენ. ეს კი არა, ისიც დადგენილი, რომ ფეხბურთის მოყვარულთა პირველი წრე თბილისში 1906 წელს ჩამოყალიბებული, მანამდე კი ფეხბურთს

1926 წლის თბილისის „დინამო“.

ჩეოდნენ ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის“ წევრები, რომლებიც ხან ექსპერიმენტის სახით, ხან კი გართობის მიზნით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ბურთის მაღლა დარტყმაში („სანთლის დაკიდებაში“).

1906 წელს ყოფილი დიდი მთავრის (ამჟამად კამოს) ქუჩაზე მდებარე ველოტრეკთან ნ. ი. ლგოტკემ ბურთის ფეხით მოთამაშეთა წრე დააარსა. მიაქცევთ უურადღება ამ წრის საბელწოდებას — ბურთის ფეხით მოთამაშეთა წრე. ასეთი სიზუსტე მაშინ საჭირო იყო იმისათვის, რომ ფეხბურთი, ლელობურთში არ აერიათ. ამ წრის პირველი ხელმძღვანელი და კაპიტანი მ. ჯოქერი ყოფილა. შემდგომში ხელმძღვანელობა შეიცვალა და ბოლოს წრეს სათავეში ჩაუდგა „სოკოლის“ ენერგიული და ინიციატივიანი წევრი ა. ელზინგერი, რომელმაც იხგლისურიდან თარგმნა თამაშის წესები (დღეს იგი, სამწუხაროდ, დაკარგულია) და გატაცებით შეუდგა თამაშის პოპულარიზაციას, უმთავრესად ქართველ ახალგაზრდებში.

ფეხბურთისადმი მოჭარბებულ ინტერესს თბილისის ტრეკმა ცხადია, ვერ გაუძლო, მით უფრო, რომ აქ ველოსიპედისტთა შეჯიბრებები გახშირდა. საჭირო იყო ახალი ბაზის ძებნა და მალე გამოინახა კიდეც ასეთი მოედანი. პირველმა წრემ ლგოტაკის ველოტრეკზე სექტემბრამდე იარსება, ნოემბერს კი იგი დიდუბის იპოდრომს შეეხიზნა.

1907 წლის 1 იანვრისთვის ქალაქის ფეხბურთელთა წრეში თვრამეტი ნამდვილი წევრი და ხუთი ეგრეთ წოდებული დამსწრე ირიცხებოდა. ხელისუფლებამ, რომელიც ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნას მუდამ მტრული თვალით უყურებდა, წრის დაკანონება, ოფიციალურად გაფორმება მოითხოვა. ა. ელზინგერმა შეადგინა თხოვნა და იგი წესისამებრ .გუბერნიის მმართველობის კანცელარიას გადასცა. განცხადებას ხელს აწერდნენ: მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უცხოეთთან მიმოწერის კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მდივანი, კოლეჟის ასესორი ადოლფ ელზინგერი, კბილის ექიმი იური ჰეინე, დამზღვევი საზოგადოება „რუსეთის“ მოსამსახურე ალექსანდრე ჰაზე და გრამოფონების კომპანიის თანამშრომელი თედორე კორტუმი.

ხელმომწერთა შორის, როგორც ხედავთ, ქართველები არ იყვნენ, ამ ტექტიკურ ხერხს ელზინგერმა განგებ მიმართა, ვინაიდან იცოდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მეფისნაცვლის კანცელარიაში დიდი სიყვარულით არ სარგებლობდა. მაგრამ ეშმაკობა არ გავიდა ამ ნდობით აღჭურვილ პირთაც ხელისუფლებამ ხრდილობიანი უარი უთხრა.

ელზინგერი უტეხი, შეუპოვარი კაცი იყო და ახალი თხოვნა შეადგინა, ამჯერად უკვე გუბერნიის მმართველის სახელზე. რას ითხოვდნენ ისეთ განსაკუთრებულს ფეხბურთის მოყვარულნი? ოფიციალურ ნებართვას გუნდის შექმნაზე და მისი წესდების დაკანონებას (გუნდს სახელი უკვე შერქმეული ჰქონდა — „კომეტა“. ესეც სიფრთხილისათვის იყო საჭირო. ნებისმიერი ქართული სახელი შეიძლებოდა კანონსაწინააღმდეგო აქტად ჩაეთვალათ). მაგრამ როგორც გაირკვა, ნებართვის მოცემა შეეძლო მხოლოდ გუბერნიის საზოგადო საქმეთა საკრებულოს.

ელზინგერმა ერთი დამატებითი განცხადება საკრებულოს სახელზეც დაწერა და ამით ყველა იურიდიული ფორმალობა დაიცვა. 1907 წლის 23 თებერვალს, როგორც იქნა, გაიმართა სხსენებული საკრებულოს სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გუბერნატორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი, ვიცეგუბერნატორი ა. ჩერნიავსკი. საკრებულომ ხმების უმრავლესობით მოიწონა „ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა წრის“ შექმნა. „კომეტა“ ბოლოს და ბოლოს აღიარეს, „კომეტამ“ იურიდიული სტატუსი და არსებობის უფლება მიიღო. დოკუმენტს ხელი მოაწერეს: თბილისის ოლქის სასამართლოს პროკურორმა ნ. ბრანდორფმა, თბილისის სახელმწიფო პალატის მმართველმა ვ. ოსტროვსკიმ, ქალაქისთავის მოვალეობის შემსრულებელმა თავადმა ნ. ჩერქეზიშვილმა და გუბერნატორის კანცელარიის მმართველის საქმეთა მწარმოებელმა ე. უმანცევმა.

ოლიმპიადელი თბილისის „დინამო“. პირველ რიგში (მარცხნიდან) ნაშაელიავა, შოთა შავგულიძე და გრიგოლ გაგუა. მეორე რიგში მარცხნიდან პირველი — მიხეილ ბერძენიშვილი, მეხუთე — თენგიზ გავაშელი, მეექვსე — ნიკოლოზ ხომოვი.

გარდვევაზეა გაიოზ ჯეჯელავა.

ოქტომბერი ჩატარდა...

1912 წლის 26 მარტს გაიმართა პირველი საერთაშორისო მატჩი თბილისში „სოკოლსა“ და ბაქოში მომუშავე ინგლისელთა შორის.

რევოლუციის პირველ წლებში საქართველოში უკვე 120-მდე საფეხბურთო გუნდი იყო, მათგან სამოცდახუთი თბილისში, თორმეტი-თორმეტი აჭარასა და აფხაზეთში, ათი — ქუთაისში, სამ-სამი ფოთსა და ცხაკაიაში, ორ-ორი — გორში, თელავში, ახალქალაქში, ახალციხეში და ა. შ.

ქართული ფეხბურთის ისტორიაში რამდენიმე ფუძემდებლური თარიღის გამოყოფა შეიძლება. ერთი-ერთი მათგანია 1925 წელი — თბილისის „დინამოს“ შექმნის თარიღი. რას ნიშნავს თბილისის „დინამო“ და რა მნიშვნელობა აქვს მას ქართული ფეხბურთის ისტორიისთვის?

დავიწყოთ იმით, რომ თბილისის „დინამოს“ სახელს უკავშირდება ყველა ჩვენი გამოჩენილი ფეხბურთელის ცხოვრება. ესენი გახლავთ დინამოელთა რამდენიმე თაობის ბრწყინვალე ოსტატები — ბორის პაიჭაძე და შოთა შავგულიძე, მიხეილ ბერძენიშვილი და გაიოზ ჯეჯელავა, გრიგოლ გაგუა და გიორგი ანთაძე, არჩილ კიკნაძე და ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ მარღანია და ნიაზი ძიაპშიპა, ავთანდილ ჭკუასელი და შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი, გივი ჩოხელი და ჭურთაზ ხურციკლავა, ვლადიმირ ბარქაია და რევაზ ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე და დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი და ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია და ბევრი კიდევ სხვა...

თბილისის „დინამო“ ნიშნავს ქართული ფეხბურთის ბრწყინვალე გამარჯვებებს, როგორც შინაურ ტურნირებში, ისევე საერთაშორისო სარბიელზე...

თბილისს „დინამო“ ნიშნავს ორ-ორ გამარჯვებას საკავშირო ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებაში...

თბილისს „დინამო“ ეს არის 13 მაისის დაუვიწყარი ფინალი დიუსელდორფში, რომელმაც ქართულ ფეხბურთს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოუტანა...

და ბოლოს, თბილისს „დინამო“ გახლავთ ქართული ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივრის გულისტკივილი და ახალი იმედების მოლოდინი.

ნოდარ ჯაგაშვილი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

ყველა ქულას— ოქროს ფასი

გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების შეჯიბრების პირველი ეტაპის ბოლო, 22-ე ტურის მატჩები. ორი თამაშის შედეგი უკვე გაცნობეთ, სხვა შეხვედრები კი ასე დამთავრდა: ეტს (კრასნოიარსკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 19:24, „ელექტრომაში“ (ტორასპოლი) — „ზვეზდა“ (ტაშკენტი) 22:6. სსა (მონინო) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 24:14, „აია“ (ქუთაისი) — ასკ (ალმა-ათა) 40:26.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა პირველი ეტაპის შემდეგ	თ.	მ.	ფ.	წ.	დ.	ქ.
სსა	22	17	2	3	—	36
ეტს	22	17	0	5	—	34
„აია“	22	14	3	5	—	31
„ლოკომ.“	22	14	0	8	—	28
„სლა.“ (მ.)	22	10	2	10	—	22
„ელმავ.“	22	10	3	8	1	22
„ფილი“ (მ)	22	9	3	10	—	21
„ავიატ.“ (კ)	22	10	1	11	—	21
„ელექტ.“	22	9	2	11	—	20
ასკ	22	6	1	15	—	13
„ზვეზდა“	22	5	1	16	—	11
„სპარტ.“	22	2	0	20	—	4

შენიშვნა: ცხრილის „დ“ გრაფაში ნაჩვენებია იმ თამაშთა რაოდენობა, რომლებშიც გუნდს დისკვალიფიკაცია მიესაჯა — ჩაეთვალა წაგება ანგარიშით 0:30 და ერთი ქულითაც დაჯარიმდა.

როგორც ხედავთ, „სლავამ“ და „ელმავალმა“ ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს. მეტოქეებმა ერთმანეთს თითო თამაში მოუგეს. ამასთან, ურთიერთშეხვედრებში ანგარიშიც თანაბარია (26:26), „ელმავალსა“ და „სლავას“ მოგებათა რაოდენობაც ერთნაირი (ალმა-ათა, (10-10). ასეთ შემთხვევაში უთავბოლოდ შედგენილი ჩემპიონატის დებულების თანახმად, უპირატესობა უნდა მიენიჭებოდა გუნდს, რომელიც მეორე ეტაპის (?!) თამაშებში მეტ ლელოს გაიტანდა. მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, ეს ეტაპი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დაიწყება. ჩემპიონატის ორგანიზატორები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, იმსჯელეს, იმსჯელეს და არავინ იცის, როგორ დაადგინეს, რომ მეხუთე ადგილზე „სლავა“ „დაესვათ“, მეექვსეზე კი — „ელმავალი“. ამის შედეგად საქართველოს გუნდები ერთად, „ბ“ ქვეჯგუფში მოხვდნენ.

მეორე ეტაპის წინ, რომლის თამაშებიც წინასწარ დათქმული 10 აგვისტოს ნაცვლად მხოლოდ 23 აგვისტოს დაიწყება, გათამაშების ცხრილები ასე გამოიყურება:

„ა“ ქვეჯგუფი

სსა	22	17	2	3	—	36
„ლოკომ“.	22	14	0	8	—	28
„სლავა“	22	10	2	10	—	22
„ავიატ.“	22	10	1	11	—	21

„ბ“ ქვეჯგუფი

ეტს	22	17	0	5	—	34
„აია“	22	14	3	5	—	31
„ელმავ.“	22	10	3	8	1	22
„ფილი“	22	9	3	10	—	21

შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე გუნდები კიდევ 6-6 თამაშს გამართავენ (შინ და სტუმრად ეთამაშებიან თანაქვეჯგუფელებს), რის შემდეგაც 28 ტურის მაჩვენებლების მიხედვით თითოეული ქვეჯგუფიდან შეირჩევა ორ-ორი საუკეთესო გუნდი, რომლებიც მესამე ეტაპზე ორ წრედ პირველი-მეოთხე ადგილებისთვის იბრძოლებენ. ქვეჯგუფებში მესამე-მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები იმავე წესით გაითამაშებენ მეხუთე-მერვე ადგილებს.

ცხრილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ, ლიდერებსა და მდევრებს შორის არსებული დიდი სხვაობის გამო, სსა-ს უკვე დაჯავშნული აქვს ადგილი ფინალურ ოთხეულში, ეტს-სა და „აიას“ კი ცოტა უკლიათ. ამიტომ საფიქრებელია, რომ „ბ“ ქვეჯგუფის შეჯიბრებას სიმბოლური ხასიათი ექნება. „ა“ ქვეჯგუფში ფიცხელ ბრძოლას უნდა ველოდეთ მოსკოვის გუნდებს — „ლოკომოტივსა“ და „სლავას“ შორის ფინალური ოთხეულის დარჩენილი ვაკანსიის შესავსებად, 6-ქულიანი სხვაობის აღმოფხვრა 6 ტურში, რაღა თქმა უნდა, ფრიად ძნელი საქმეა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ბევრი რამ ალბათ პირველსავე ტურში გაირკვევა, როცა კოკკურენტები ერთმანეთს შეხვდებიან.

მართალია, ქვეჯგუფის ცხრილებში დიდი აღმა-დაღმასვლა არაა მოსალოდნელი, მაგრამ ყველა მატჩს, ყველა ქულას ოქროს ფასი ექნება. საქმე ისაა, რომ შარშანდელი ჩემპიონატისაგან განსხვავებით, მეორე ეტაპის უკლებლივ ყველა თამაშის შედეგი შევა მესამე ეტაპის ჩათვლაში. სხვა საკითხია, ლოგიკურად რამდენად გამართლებულია ამგვარი „პარალელური“ ჩათვლა, მაგრამ ამთავითვე ის კი შეიძლება თქვას, რომ შარშანდელივით „უაზრო“ მატჩები წელს აღარ იქნება.

ბოლოს, გთავაზობთ საქართველოს გუნდების შეხვედრათა გრიგს: „აია“ — 18.08 (ან 27.08), ეტს (სტუმრად), 23.08. „ელმავალი“ (შინ), 30.08 „ფილი (სტ), 3.09, „ელმავალი“ (სტ), 6.09 ეტს (შ). 10.09 „ფილი“ (შ).

„ელმავალი“ — 23.08 „აია“ (სტ), 27.08 „ფილი“ (შ), 30.08 ეტს (შ), 3.09 „აია“ (შ), 6.09 „ფილი“ (სტ), 10.09 ეტს (სტ).

თათბიროზენ მწვრთნელები და მსაჯები

4 **აგვისტოს** საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საარქტო დარბაზში გაიმართა 1989 წლის რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე პირველი და მეორე ჯგუფების გუნდების მწვრთნელთა, თაფლშების მომსახურე მსაჯთა და საკავშირო ჩემპიონატის II ლიგის IX ზონის გუნდების მწვრთნელთა თათბირი.

განიხილეს II ლიგის IX ზონის კოლექტივების განვლილი ეტაპის შეჯიბრებათა შედეგები, ინფორმაციით გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს ფეხბურთის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ბასკაკოვი. კამათში მონაწილეობა მიიღეს სოხუმის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ა. ნორაკიძემ, ფოთის „კოლხეთის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯ. ჯანელიძემ, რუსთავის „მეტალურგის“ მთავარმა მწვრთნელმა გ. ნოდიამ, რესპუბლიკის ჩემპიონატის I წრის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფეხბურთის სამმართველოს მასობრივი ფეხბურთის განყოფილების ინსპექტორი ლ. ...

მსჯელობა ... ა. ყრუაშვილმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პროფსაბჭოს ნფსს ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა გ. ბაქანიძემ, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვ. ...ნოშვილმა და სხვებმა.

თათბირზე არ გამოცხადდნენ საქართველოს პირველობის I და II ჯგუფში მონაწილე მთელი რიგი გუნდების მწვრთნელები. მათი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა განიხილონ ამ რაიონების ხელმძღვანელებმა და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ რესპუბლიკის ფეხბურთის სამმართველოს. იმ მსაჯების მიმართ, რომლებიც არ გამოცხადდნენ თათბირზე და არ ჩაბარეს ნორმატივები ფიზიკურ მომზადებაში, კოლეგიის პრეზიდიუმი მიიღებს სათანადო ზომებს.

თათბირის მუშაობა შეაჯამა რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ვ. ბარქაიამ.

ლ. იაშინის საპატივცემლოდ

მოსკოვი (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.) დღეს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება გამოჩენილი საბჭოთა მეკარის ლევ იაშინისადმი მიძღვნილი საზეიმო სანახაობა.

9 აგვისტოს „დინამოს“ სპორტის სასახლეში შედგა დიდი კონცერტი თეატრის, ესტრადისა და კინოს გამოჩენილი მსახიობების მონაწილეობით. დღეს ზეიმი გადაინაცვლებს „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე, მინდორზე გამოვლენ „დინამოს“ ვეტერანები და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები. მათი შეხვედრა ჩატარდება ორი 30-წუთიანი ტაიმით, შერე დაიწყება თამაში მოქმედ ფეხბურთელთა მონაწილეობით, საბჭოთა გუნდში გამოვლენ კიევის, თბილისისა და მინსკის დინამოელები, უცხოელი ფეხბურთელები გუშინ ჩამოფრინდნენ თვითმფრინავის სპეცრეისით მაინის ფრანკფურტიდან (გფრ).

ლ. იაშინისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო სანახაობას მოემსახურება კორესპონდენტთა დიდი რაოდენობა, „დინამოს“ ცენტრალურმა საბჭომ მათთვის ცალკე გამოჰყო 150-ადგილიანი ლოჟა. ღირსშესანიშნავი მატჩის სპონსორებია ცნობილი უცხოური ფირმები „მიულერ-მილნი“ (გფრ) და „მაზდა“ (იაპონია). სპორტულ ლატარიაში გათამაშდება უახლესი მარკის ავტომობილი „მაზდა“, გარდა ამისა, ამ ფირმამ იუბილარს საჩუქრად მიართვა ბოლო მოდელის ხელით სამართავი მანქანა. საქმე ისაა, რომ ლ. იაშინის მანქანა საკმაო ხანია გამოვიდა მწყობრიდან, ახლის შეძენის საშუალება კი გამოჩენილ მეკარეს არ ჰქონდა...

ლევ იაშინის საიუბილეო საკონცერტო საღამოში და საფეხბურთო მატჩებში მონაწილეობენ საქართველოს ცნობილი ხელოვნების მოღვაწეები და სპორტსმენები.

მაშ ასე, დღეს 18 საათსა და 25 წუთიდან თბილისის დროით ცენტრალური ტელევიზიით დაიწყება ამ საინტერესო სანახაობის ტრანსლაცია.



გაკოტრებული ბიზნესმენი

წლეულს შვეიცარიის ეროვნულ-გაზეთები ზედიზედ აჭრელდა ბიორონ ბორგის ფოტოსურათებით, პირველად ეს მოხდა თებერვალში, როცა ყოფილმა ჩოგბურთელმა დიდი რაოდენობით მიიღო ძილის აბები და გრძნობადაკარგული საავადმყოფოში აღმოჩნდა. მეორედ ბორგმა თავი გაახსენა შეედებს იმით, რომ საკუთარი ფირმის გაკოტრება საჯაროდ გამოაცხადა. მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჩოგბურთელს ბიზნესმენობაში ხელი მოეცარა.

ბორგს მაინც და მაინც არ წყალობდა ბედი პირად ცხოვრებაშიც. ეი ორჯერ გაეყარა მეუღლეს, რამაც ორივეჯერ დიდი სკანდალი გამოიწვია. სხვათა შორის, თებერვლის ინციდენტს სწორედ ბორგის ოჯახურ არეულობას უკავშირებდნენ.

უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი სპორტში ცნობილი იყო, როგორც მიზანდასახული, ენერგიული და ჯიუტი ადამიანი, რომელიც არ ეპუებოდა სირთულეებს და ხშირად მწვავე სიტუაციებშიც ერთადერთ და სწორ გამოსავალს პოულობდა. მაგრამ ამჯერად ბორგს ალბათ ვერაფერი იხსნის. მისი კამპანია „სკანდინავური მოდები“ გაკოტრდა და დაიხურა.

ჩოგბურთელმა თავის დროზე შვეიცარიის ერთ-ერთი ბანკის ანგარიშზე 100 მილიონი დოლარი დადო, ამ თანხით 1983 წელს მან მოდების საერთაშორისო კომპანია დააარსა, მაგრამ ორი წლის შემდეგ ფირმას პირველი ბზარი გაუჩნდა. პრესას ამის მიზეზად მიაჩნია ის, რომ ბორგი გარშემორტყმული იყო ახალგაზრდა და გამოუცდელი ხალხით. ერთი სიტყვით „სკანდინავურმა მოდებმა“ არსებობა შეწყვიტა და ბორგი უმძიმესი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

„სპორტპროგნოზი“

32-ე ტირაჟის შედეგები

(4-7 აგვისტო)

1—1, 2—1, 3—2, 4—1, 5—X, 6—X, 7—X, 8—1, 9—2, 10-1, 11—1, 12—1, 13—2.

შენიშვნა. პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„სპორტპროგნოზის“ მოუვარულთა საყურადღებოდ

იმასთან დაკავშირებით, რომ 33-ე ტირაჟში გუნდების „ლუჩი“ (ვლადივოსტოკი) — „ზვეზდა“ (ირკუტსკი), „ირტიში“ (ომსკი) — „სახალინი“ (იუჟნო-სახალინსკი), „ლოკომოტივი“ (ჩიტა) — „დინამო“ (ბარნაული), „სელენგა“ (ულან-უდე) — „ტომი“ (ტომსკი) თამაშები 13 აგვისტოს ნაცვლად ჩატარდება 16 აგვისტოს, ტირაჟი გაგრძელდება 1989 წლის 16 აგვისტომდე.

შეხვედრა ბათუმის დინამოელებთან

ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ქომაგები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ კოლექტივის მიმართ, ამ კლუბის მისამართით მრავლად მოდის წერილები.

სწორედ ამ ინტერესმა განაპირობა ბათუმის „დინამოს“ კოლექტივის შეხვედრა ფეხბურთის მოყვარულებთან. გამოითქვა მრავალი საინტერესო მოსაზრება, ფეხბურთის ქომაგებმა თავიანთი მოსაზრებებით მიმართეს გუნდის მთავარ მწვრთნელს შ. ჭეიშვილს, რომელმაც პასუხი გასცა დამსწრეთა შეკითხვებს.

„ლელოს“ საკ. კორ.

საერთაშორისო ტურნირზე

კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ამას წინათ ლონდონში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მესამე ადგილი დაიკავეს.

ამის შემდეგ კიევის „დინამო“ ამსტერდამს გაემგზავრა, სადაც კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ტურნირში გამოდიოდნენ ბელგიის ჩემპიონი „მეჰელენი“, ჰოლანდიის „აიაქსი“, ლისაბონის „სპორტინგი“ და კიევის „დინამო“. ამ ფრიად წარმომადგენლობითი ტურნირის პირველ დღეს კიეველებმა მარცხი იწვნიეს. „მეჰელენთან“ შეხვედრაში — 1:2, „აიაქსმა“ და „სპორტინგმა“ კი ფრედ ითამაშეს — 1:1. მეორე ტურში ორივე მატჩი ფრედ დამთავრდა: „მეჰელენი“ — „აიაქსი“ 2:2, „დინამო“ — „სპორტინგი“ 1:1.

ტურნირში 3 ქულით პირველი ადგილი დაიკავა „მეჰელენმა“, „სპორტინგმა“ და „აიაქსმა“ 2-2 ქულა დააგროვეს, ხოლო კიეველებმა — 1.



ძვირფასო მეგობარეებო!

13-აგვისტოს თბილისის იპოდრომზე გაიმართება დღი ახალთექური და წმინდასისხლიანი ინგლისური ჯიშის ცხენების მონაწილეობით.

გათამაშდება 1989 წლის ცხენთგამოცდის სეზონის მთავარი ჯილდო — დერბი, ახალთექური ჯიშის ცხენებისათვის და სხვა ტრადიციული პრიზები. იმუშავებს ტოტალიზატორი.

გათამაშდება ლატარეა ავტომანქანა „ჟიგულის“ ურიგოდ შეძენის უფლების მოსაპოვებლად.

იპოდრომის დირექცია.

რედაქტორი
თ. ბაჩიჩილაძე.

თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის „შევარდენის“ სტადიონი

12 აგვისტო

ფეხბურთი

II ლიგა

„შევარდენი“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი)

დასაწყისი 19 საათზე

საავტომობილო სპორტის სიახლენი

უსასრულო დავა...

პირველობისათვის დავა ბრაზილიელ აირტონ სენნასა და ფრანგ ალენ პროსტს შორის ყოველთვის პრესისა და მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. ამას წინათ გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდა ფოტო, სადაც ეს ორი გმოჩენილი მრბოლი... ველოსიპედებზე არიან ამხედრებული, რას იზამ, ეტყობა პირველობის სურვილი იმდენად დიდია, რომ სისწრაფეს არა აქვს დიდი მნიშვნელობა.

ბალესტრი წინააღმდეგია

საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფისა) პრეზიდენტმა ფრანგმა ჟან-მარი ბალესტრმა განაცხადა, რომ სურვილი აქვს შეწყვიტოს ელექტრონული კავშირი ბოქსებსა და „ფორმულა 1“ ავტომობილებს შორის. „ჩემის აზრით, ეს უფრო მეტად ლაპარაკს უწყობს ხელს, ვიდრე სპორტს“ — განაცხადა მან.

ეტაპი გვატემალაზე გავა

ცენტრალური ამერიკის საავტომობილო ჩემპიონატის მესამე ეტაპი 24 სექტემბერს გაიმართება გვატემალაში. პირველი ორი ეტაპის შემდეგ ლიდერობს კოსტარიკელი კარლოს ფონსეკა. უკანასკნელი, მეოთხე ეტაპი 29 ოქტომბერს გაიმართება სან-სალვადორში.

ჩვენი მისამართი:
ფერიცვალებისთვის — 380099, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
ფერიცვალების განყოფილება — 98-97-55, სამდივანი — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-52, „ფერანი“ — 98-97-29, „ბარიკადი“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 60105

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორ. ლენინის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბიშარიულის, 39.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 ეე 10460